

რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, პრეტე ჩაიგეშტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ
редакцію газеты „Дროზბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და გერმანულს
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღილი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-შთავრულით
ატრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროზბა

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

კიდევ ჩვენს მაცნიერებაზე

არ შემძლია არ გამოვსტყდეთ,
რომ პატივცემულ „დროზბის“ რე-
დაქტორის მოწინავე სტატიამ, №
123, („ჩვენი მეცნიერები“) ცოტათი
არ იყო დამაფიქრა და ზოგიერთ
დაუბატყებელ ჰაზრებმა თავში გა-
მიარა. რა მიზანი უნდა ჰქონდეს ამ
გვარ ქადაგებათ?

შეგვიჩვენებდა ვსთხოვე პატივცე-
მულ რედაქტორს, რომ ეს ჩემი წე-
რილი პოლემიკათ არ ჩაგდოს და
არც პირად საქმეთ; ამ გვარ კითხვე-
ბის გამოაშკარება, მათი განჩინება პი-
რადობას არ შეიცავს, არამედ ნამ-
დვილს და საზოგადო პრინციპებს,
რომელნიც ეკუთვნის მთელს კა-
ცობრიობას.

„ჩვენს მეცნიერებში“ გამოთქმუ-
ლი ჰაზრი, თუ არ ესცდებით, ახალი
ჰაზრი არ არის ჩვენს ლიტერატურა-
ში, და პირველათ გამოთქვა ჩვენმა
პატივცემულმა თანამშრომელმა აკა-
კიმ; მაგრამ იმ განსხვავებით, რომ
უ. აკაკი მნიშვნელობას აძლევდა
სპეციალისტებს და უფრო იმ შემ-
თხვევაში, თუ ისინი იმუშავებდნენ
თავის საკუთარ სამშობლოში.

უ. რედაქტორის ჰაზრს მისთვის კი
არ ედარებ ამ უკანასკნელთ. ნ. რომ
მათ შორის გამოვიყენო რაიმე უ-
თანხმოება, არამედ მისთვის, რომ ამ
ჰაზრის ლიტერატურაში გამოაშკა-
რება პირველათ ეკუთვნის, ხელ-მეო-
რეთ ვიმეორებთ — თუ არ ესცდებით,
უ. აკაკის; და თუ აკაკის პასუხი არ
მიუღია ეს იმიტომ, რომ ხანდისხან
ზოგიერთ ჰაზრებს, წინადადებებს,
შეიძლება ერთხელ საფუძველი ჰქონ-
დეს, და თუ ერთი და იგივე ორჯელ
განმეორდა, ხშირათ სიმართლე და
მნიშვნელობა ეკარგება.

აი ამ უკანასკნელი საფუძველი და-
ლით ესარგებლობ ეხლა, რომ გან-
ესინჯო, თუ რამდენი მნიშვნელობა
უნდა მიეცეს უ. შესხის სტატიას და
რამდენი სიმართლე აქვს მას, რომ
ამ გვარ ჰაზრებს ავრცელებს საზო-
გადობაში.

ჩემის, ჰაზრით ორი უდიდესი მნი-
შვნელობა აქვს ჩვენს სამშობლო-
სათვის მეცნიერების და სპეციალის-
ტების განმრავლებას; და აქვე ჩემგან
მოყვანილი ჰაზრებით ვგონებ უნდა
ინელმძღვანელოს ჩვენმა ლიტერა-
ტურამ, თუ კი უნდა დაიცვას ნამ-
დვილი სამშობლოს ინტერესები.

1) მეცნიერებზე საუკუნე შესანიშ-
ნავი საუკუნე თავის ცვლილებებით.

თითქო ხალხების არსებობა დამო-
კიდებულია რაღაც იშვიათ შემთხვე-
ვაზე, და კაცობრიობის ბედი და უბე-
დურება მიხტის რაღაც უსწორ-მას-
წორათ: დღეს ჩერდება, ხელ წინ
მიბრბის და ზევ ისევ უკან ბრუნდება.

ის, რაც დღეს საქები იყო, ხელ სა-
გინებელი ხდება; ვინც გუშინ ძლი-
ერი იყო, დღეს იმის ხმა აღარ ისმის.
ამ გვარ უსწორ-მასწორო მდგომა-
რეობისათვის საჭიროა, რომ ყვე-
ლან ი მზათ იყვნენ.

შეუცდომელათ შეგვიძლიან ვსთ-
ქვათ, რომ ჩვენ ყველანი ვიყავით
დამსწრეთ იმ ცვლილებებისა, რაც
მეროპამ გამოიარა ამ უკანასკნელ
ოთხმოცი წლის განმავლობაში. ის
სახელმწიფო ანუ ხალხი, რომელიც
გუშინ მიაჩნდათ ძლიერათ განათლე-
ბულათ, მდიდრათ, — დღეს იმის ხმა
თითქმის არ ისმის; ის, რომელიც
ნელ-ნელა მუშაობდა, ზრდიდა თავის
შვილებს და უცდიდა შემთხვევას,
დღეს იმან გამოაჰყო თავი და ისარ-
გებლა დროებით; ის, რომელიც
მორჩილი ყმა იყო სხვისი, რომელს
ყველანი თავში სცემდნენ, იმანაც
დღეს გამოაჰყო თავი.

როგორც ზემოთ არის ნათქვამი,
ხშირათ ცხოვრების ჩარხი რაღაც
უმგებანოთ და უხეიროთ ტრიალებს;
არ ემორჩილება არა ვითარ ბუნების
კანონებს, და არა ერთხელ, ამ გვარ
უთაებოლო ცვლილებების გამო, მთე-
ლი ხალხი გამქრალა დედა-მიწის
ზურგიდან და დაუცლია ალაგი ახალ
ხალხისათვის, ახალ ძალისათვის.

მაგრამ როცა რომელიმე ხალხი
მიჰყოლია ცხოვრების ანგარიშს, რო-
ცა ყოველ შემთხვევისათვის მზათ
ჰყოფილა და შეუწავლია ბუნე-
ბის კანონები, რომელიც უფრო გა-
მორჩარხული ჰყოფილა მეცნიერება-
ში, მოხელობაში — ის ყოველთეს გა-
დარჩენია ამ ბუნების ანუ ცხოვრე-
ბის ტალღას, — რადგანაც კუთა, შრო-
მა და გამოცდილება მისი ძალაა; და
ამ გვარ ძალას ეფრავითარი შემთ-
ხვევა ვერ დაიმორჩილებს და ვერ
გასრესს.

რაც შეეხება ჩვენს მდგომარეობას,
ჩვენი მოვალეობაა, რომ რაც შეი-
ძლება უფრო ბევრი მეცნიერე-
ბი და სპეციალისტები ვიყოლიოთ,
რადგან ესენი ერთ დროს შეადგენენ
ხალხის ბურჯს, რადგან ამ სპეცია-
ლისტებისაგან და მეცნიერებისაგან
იქნება დამოკიდებული ჩვენი ძალა
და სახელი, რადგან იმათის შემ-
წევობით შეიძლება, რომ ჩვენ
ვარსებობთ, რომ არის საქართველო.

2) ზოგიერთი პირებისაგან გაი-
გონებთ, რომ საქართველოს შვილს

არ შეუძლიან განდეს ნამდვილ
მეცნიერათ ან გამოჩენილ სპეცია-
ლისტათ, რადგან აზიელი ხალხის
კუთა ვერ აიტანს საფუძველიან სწავ-
ლასო, და სხვა ამ გვარი...

ამ გვარი უგუნური და უსა-
ფუძველო ჰაზრების გამამტყუნარ სა-
ბუთებათ ჩვენი მეცნიერები იქნებიან.

შეიძლება და კიდევაც ნამდვილია,
რომ ჩვენი მეცნიერები გენიოსები
არ იყვნენ, მაგრამ რაიმე ახალი კა-
ნონის, თუ ახალი ჰაზრის აღმოჩენას,
დამტკიცებას გენიოსობა სრულიათ
არ ეჭირვება; აქ უნდა მხოლოდ
საფუძველიანი ცოდნა თავის ხელო-
ბისა ანუ საგნისა და დამჯდარი მუ-
შაობა.

თქვენ დალოცვილებო, ამ ჩვენს
საუკუნეში ძლიერ კოტანი იყვნენ
და არიან გენიოსები, მაგრამ ვერ
ხედავთ — რა გვგანტის ნაბიჯით მი-
დის მეროპა პროგრესის გზაზე?

სრულიად თანახმა ვარ, რომ ყვე-
ლა ნამდვილმა მამულის შვილმა ისე-
თი რამ შრომა უნდა აირჩიოს, რაც
ამ მამულის სასარგებლო და გამო-
სადგეია და თავის საკუთარ სამშო-
ბლოში, თავის ხალხში უნდა იმუ-
შაოს; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ
ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი სამშობ-
ლოსათვის ყოველ გვარი შრომა,
ყოველ გვარი ცოდნა მიუცილებელ
საჭიროებას შეადგენენ. ძნელათ ითქ-
მის, რომ აი ეს საგანი, ეს ცოდნა
უფრო საჭიროა, ვინემ სხვა. მაგორ-
ჩვეის დრო ჩვენ არა გვაქვს: ვისაც
რა შეუძლიან, ის ისწავლოს და ყო-
ველი ცოდნა თავის ნაყოფს მოიტანს.

რაც შეეხება სამშობლოში მუშა-
ობას — ეს უმთავრესი და მიუცილე-
ბლი საჭიროებაა ჩვენთვის. ჩვენი
ქმარელობა მისთვის სწავლობს, მი-
სთვის იხმობს თავს სხვა გარეშე
ქვეყნებში, ხშირათ საცოდავებს მიმ-
შლით კუჭი ეწვისთ და ითმენენ
ყოველ გვარ შევიწროებას, რომ
ერთ დღეს თავის სამშობლოს რაიმე
სარგებლობა მოუტანონ. აი ამ ში-
მათი ძალა, სიმხნევე და თავისმო-
ყვარეობა.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ამ
გვარ გამოცდილ და საიმედო კა-
ცებს ჩვენი საზოგადოება რაღაც
ეჭვანულათ უყურებს. რისთვის? მს
ღებრთმა იცის. სრულიად უმიზნოთ
და უსაფუძველოთ.

არამც თუ მართო ის საზოგადო-
ება, რომელიც უმეცარი და დაუნ-
დობელია ყოველ გვარ ახალ მოთ-
ხონილებაში და პროგრესში, არა-
მედ ისინიც ვინც უნდა, ყოფილიყე-
ნენ ჩვენი საზოგადოების ახალ-თა-
ობათ, ჩვენ პიონერებათ, ისინიც

ამ ახალ-შთამომავლობას ეჭვანულათ
უყურებენ და სცდილობენ ააშორონ
ახალი ძალა თავის მოვალეობას —
სამშობლოს სამსახურს.

ამის მიზეზი ის არის, რომ ცრუ
ახალ-თაობას ეშინია, რომ საზოგადო
საქმეში არ გაერივნენ ნამდვილი სამ-
შობლოს შვილნი, არ გააცნონ თავი
საზოგადოებას, რადგანაც ამ დაან-
ლოვებით საზოგადოება, ჩვენი ხალ-
ხი ნამდვილათ დაინახავს, თუ ვინ
არის მისი ნამდვილი თანამგრძობი
და საიმედო შვილი.

ძლიერ საეჭვოა, რომ ჩვენი სა-
ზოგადოება გრძობდეს ახალ ძალის
საჭიროებას, დახმარებას, — არა მის-
თვის რომ საჭირო არ იყოს, არამედ
ამ გრძობადლის ის ჯერ არ მისულა
და თუ ეს გრძობა არის მასში, რას
უყურებს — მოსთხოვოს ახალ-ძალას,
ახალ-შთამომავლობას სამსახურა, შე-
მწეობა. და დარწმუნდით, რომ ყვე-
ლანი უზოგველათ თავს შესწირავს
მათი ბედნიერებისა და კეთილ-დღე-
ობისათვის; ყველანი, ვისაც კი სამ-
შობლოსათვის გული უძგერს, — და
ამათი რიცხვი ლეთის წყალობით
კოტანი არ არიან, — მზათ არიან
მისთვის, რადგანაც მათი ცხოვრების
მიზანი ეს არის.

ხალხლად ვიმეორებ, რომ ჩვენ-
თვის მიუცილებელ საჭიროებას შე-
ადგენენ მეცნიერები და სპეციალი-
სტები. ამ ჰაზრის გაერცვლება და
ქადაგება ჩვენს ლიტერატურას ეკუ-
თვნის და არა მისი წინააღმდეგობა.


ნუ შეშინდება ნურავინ, რომ ჩვე-
ნი მამულის შვილები სხვაგან გადაი-
კარგონ; როცა დაინახვენ, რომ მათ
შრომას ნაყოფის მოტანა შეუძლია
ჩვენს ხალხში, ყველანი დაუყოვნებ-
ლივ დაბრუნდებიან სამშობლოში და
მაშინ ენახავთ — რა სიყვარულით მიი-
ღებს მათ ჩვენი საზოგადოება!

იქონიეთ სახეში, რომ ჩვენთვის
ჩვენს მამებს მეცნიერები და ნასწავლი
კაცები რომ დაეტოვებინათ, განა ამ
მდგომარეობაში ვიქნებოდით ესლავ
დ. დ.

პარიკი, 30 (18) ნოემბერს

შენიშნვა. ისე ადვილი არ არის
მგვახეთობა, როგორც ზოგიერთებს
ჰგონია; და ადვილი არ არის განსა-
კუთრებით ჩვენში, სადაც გაზეთი
ჯერ კიდევ ახალგაზდა და ქურ-
ნალისტებიც ახალად ჩნდებიან, სა-
დაც მთელი გაზეთის ნომრის შედგე-
ნა ხშირად ერთს კაცზეა მინდობი-
ლი და დამოკიდებული.

შინდა თუ არა ყოველთვის მზათ
უნდა იყო წერისათვის; კვირაში უკა-
ნასკნელი სამჯერ მაინც რომელსამე
ისეთს საგანზე უნდა გამოელაპარაკო



მკითხველს, რომელიც, შენის ჰაზრით, იმისთვის საინტერესო უნდა იყოს. თავზე გადასა სტამბილამ გამოგზავნილი ასო-ამწყოები და ხელეგები შეგჩერებია: აბა, როდის გაათავებს წერას და გაზეთისთვის მასალას როდის მომცემსო...

რად გაგიკვირდებოთ, რომ ამისთანა მდგომარეობაში ზოგიერთს საგნებზე აჩქარებით მოგიხდეს ლაპარაკი, რომ ზოგიერთი საგნები შენს სტატიაში ყოველის მხრით ვერ გაარკვიო და განიხილო?

მართალია, ჟურნალისტი სრულვითაც ვალდებული არ არის, ბრძნული, ღრმა და ყოველ მხრივი გამოკვლევა დაბეჭდოს რომელსაშე საგანზე, იმის საქმე ის არის მხოლოდ, რომ საგანს შეეხოს და გაკერით უჩვენოს თავის მკითხველს იმის ცუდი ან კარგი მხარეები.

მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, ხშირად აჩქარებულ შრომის გამო, სტატიებს ერთობ ერთმხრივი ხასიათი ეძლევა, საგანი ერთობ გაკერით და ხანდისხან შეიძლება არა-ყველასათვის გასაგებელად იყოს გამოკვლეული და ახსნილი.

სანამ ჩვენ ნამდვილი, დახელოვნებული ჟურნალისტები არა გვეყვანან, სანამ ჩვენი დრო-გამოშვებითი გამოცემანი ისეთს მდგომარეობაში იქნებიან, როგორც ახლა არიან, მანამ ამისთანა წერილმანი და ხან სხვილმანი ნაკლულეგანება ყოველთვის მოსალოდნელია.

შემთხვევა, რომელზედაც ჩვენი პატრივტული თანამშრომელი დ. დ. ლაპარაკობს, ყველაზე უფრო ნათლად გვიმტკიცებს ზემოხსენებული სიტყვების ჭეშმარიტებას.

ამ წლის „დროების“ მე-123 ნომერში დაბეჭდილი იყო სტატია „ჩვენი მეცნიერები“, რომელშიაც ის საზოგადო ჰაზრი იყო გამოთქმული, რომ ამ ქამად ჩვენ იმდენად ვწინდა მეცნიერების მიმდევარნი არ გვეჯავრება, რამდენათაც ისეთი პირები, რომელთაც ცოდნა პირ-და-პირ ჩვენს ქვეყანას გამოადგება. მამობდით, რომ ყველა მამულის შეილი თავის მამულში უნდა შრომობდეს, თავის ხალხისთვის და არაინ არ უნდა იფიქროს, რომ ის, თავის მეცნიერებითა და სწავლით, პეტერბურღში ან პარიჟში უფრო გამოსადეგი იქნება, ვინც ჩვენს ქვეყანაში.

ეს იყო საზოგადო ჰაზრი ხსენებული სტატიისა. საუბედუროდ, იმ მიზეზების გამო, რომელიც ზევით არის მოხსენებული, ყველამ ასე არ გაიგო ეს სტატია. აღმოჩნდნენ ისეთი პირები, (და ამათ რიცხვში ზემოთ მოყვანილი სტატიის ავტორი), რომელნიც აპტიცებდნენ, რომ ვითომც მე უარ ეყოფდნენ ყოველ სარგებლობას ჩვენი მეცნიერებისას ჩვენი ქვეყნისთვის, ვითომც მე სრულიად წინააღმდეგი ვიყო, რომ ქართველმა რომელიმე საგანი საფუძვლიანად, სპეციალურად შეისწავლოს და სხ.

ჩვენი ჰაზრი მუდამ ეს ყოფილა და ეს არის, რომ ამ დროინდელი ქართველი, რაგვარი მეცნიერიც უნ-

და იქნეს, ჩვენს ქვეყანაში უნდა მოვიდეს, თავის ხალხს უნდა დაინიოს თავის სწავლის კვალი, თავის საზოგადოებაში უნდა იშრომოს, თავის აღმზრდელ ხალხს უნდა გამოაყენოს ყველა გარიცოდნა, რომელიც იმას შეუძენია.

პარგია, სასიამოვნოა ჩვენი გრძობისათვის, რასაკვირველია, როცა იტყვიან, რომ ამა და ამ ქართველმა მეცნიერმა ესა და ეს საგანი, ესა და ეს მეცნიერება წინ წასწია, ეს აღმოაჩინა, ეს მოიგონაო.

მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ ჩემთვის უფრო სასიამოვნო ის იქნება, როცა გაეიგონებ, და არათუ გაეიგონებ—როცა დაინახავ, რომ ქართველმა (თუნდაც მეცნიერმა) თავის ქვეყანაში ეს და ეს ახალი ჰაზრი, ახალი სწავლა, ახალი რამ საგანი შეიმოღო და გააერცლა.

პარგია, ძალიან კარგია, რომ მეცნიერი ფიზიოლოგი გვეყავდეს. მცოდნე ჩინურის ენისა და ლიტერატურისა, საბერძნეთის მითოლოგიაში განვითარებული, სანსკრიტული გრამმატიკის მცოდნეები; მაგრამ, მომკალით, მე უფრო ის ქართველი მირჩენია, რომელიც თავის, თუმცა მცირედს ცოდნასა და სწავლას ჩვენს ხალხს გამოაყენებს რასმეში.

ზოგიერთები ამბობენო, რომ ვითომც ქართველებს, როგორც უბიის ხალხს, არ შეუძლიანთ მეცნიერების შეთვისებაო, უმაღლესის სწავლის გაგებაო,—და, სხვა არა იყოს რა, ამით უნდა დაუმტკიცოთ, რომ სცდებიანო.

მართი მიზრძანეთ, ვინ, რომელი კაცი, რომელსაც კი აქვს თავში ტენი და რასმესი გაიგება, იტყვის ამას? სულელის მეტი, ან ისეთი პირის, რომელიც ამის თქმაში რაიმე კერძო სარგებლობას ჰხედავს, ვინ იტყვის, რომ ქართველი კაცი ჭკუით შორს ვერ გასჭრისო? მანა ყველა მეცნიერებისაგან ნათლად დამტკიცებული და მიღებული არ არის, რომ ევროპელები, რომელნიც ახლანდელი სწავლა-მეცნიერებისა და ცივილიზაციის წინამძღოლნი არიან, რომ ეს ევროპელები და კავკასიელნი ერთი ტომისა და შთამომავლობისანი არიან?

საზოგადოთ ამ საგანზე უფრო ცხადათ ჩვენი ჰაზრის გამოსატქმელად, ერთს შედარებას ანუ მაგალითის მოვიყვან:

ბევრი ესაყვედურება ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკას იმისთვის, რომ იმას გამოჩენილი, გენი ლური მეცნიერები არა ჰყავსო; თითქო ყველანი გათანასწორებულნი არიან, ყველანი ერთს განათლებას წერტილზე დგანანო.

მეორეს მხრით, აღტაცებაში მოდიან მეროპის ხალხებისაგან, მაგალითად ვთქვათ ინგლისისაგან, რომელიც რამდენსაშე გამოჩენილს, მეცნიერების წინ წამწევს სწავლულს და უკანასკნელ ორ-სამ გენიოსს ჰბადებს ხოლმე თითოეულ საუკუნოშიო.

თქვენ მოგწონთ ინგლისი, — ინგლისი, რომელსაც, მართალია, ხუ-

თი-ექვსი გამოჩენილი და იქნება გენიალური სწავლული და მწერალი ჰყავს, მაგრამ რომელშიაც ამავე დროს რამდენიმე მილიონი ხალხი სრულვით უმეცარი, თითქმის გამხეცებული და გაღატაკებული არიან.

მე კი, მე უფრო ამერიკის რესპუბლიკა მომწონს, რომელშიაც, თუმცა გენიოსები არ არიან, მაგრამ სადაც, ნაცვლად ამისა, მთელს ხალხში თითქმის თანასწორად გავრცელებულია სწავლა-განათლება, სადაც იშვიათად ნახავთ ისეთს კაცს, წერა-კითხვა მაინც არ იცოდეს და ამ ცოდნას თავის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის არ იყენებდეს....

ს. მესხი

„დროების“ კორექსიონდენცია

შოთი, 3 დეკემბერს

აგერ სამი კვირა იქნება, რაც შოთში ყოველ დღე არის გაუწყვეტლად აედრები, წყალდიდობა და ზღვის დღე; ამ სამის კვირის განმავლობაში ექვსამდის დიდი ცეცხლის გემი შოთში მომავალი ბათუმში გაჩერებულია, მისთვის, რომ შოთის რეიდში დიდს ცეცხლის გემს ახლოს მიდგომა ზღვის ნაპირზედ ამ შეუძლია და შორს რომ გაჩერდეს, მინამ პატარა ცეცხლის გემებზედ გარმოცლებოდნენ, გაჩერება შოთის რეიდში მეტის მეტი საშუაოა: ამისათვის საქონელი, რომელიც უნდა მოეტანათ შოთში დიდს გემებს, დაუტოვებიათ ბათუმში და დაბრუნებულან უკან.

ეს საქონელი ბათუმიდან შოთში უნდა გამოზიდონ პატარა ცეცხლის გემებით, რომელნიც იმყოფებიან შოთში და შეუძლიანთ შემოსვლა რიონში მაშინ, როცა ზღვა დაწყნარებულია; ამის გამო ეს პატარა ცეცხლის გემები გაფრთხილებით შედიან ზღვის რეიდში.

ბუშინ საღამოს, ოთხ სათზე, უეცრად ამოვარდა საშიში და გასაოცარი დასავლეთის ქარი; ვერ წარმოიდგენს კაცი, რა ამბავი ქონდა ზღვა! სამ საყენზე კაცის დანახვა არ შეიძლებოდა, ისეთი ქარიშიშხალი და საბნელე იყო; ეს ძლიერი ქარი ყოველფერს გლეჯდა და კაცს თითქმის ფხზე გაჩერება არ შეიძლო; მთელი ქალაქი აშფოთებული იყო. ეს საშინელი ქარი ამოვარდა ნაშუადღევს 4 საათზედ და ქროდა 12 საათამდის. წყალი სულ ნაპირზე გადარეული იყო.

ამ დროს რეიდში დარჩა ერთი პატარა ცეცხლის გემი სახელობა „პერვენც“ და ბარჯა № 34, ორნივე დტვირთულნი, რომელნიც მოდიოდნენ და მოჰქონდათ ბათუმიდან დიდი ცეცხლის გემების საქონელი. ეს „პერვენც“ რვა საათზე სულ საქონლით და 19 კაცით მოსამსხურებით სრულიად დაიღუპა, არაინ ამბავის მომტანი არ დარჩენილა; ხოლო ბარჯა საქონლითვე და სამის პატრონით, ნაპირზე გამოაგდო ზღვაში; სტარშინა ბარჯისა, ე. ი. უფროსი მატროსი, რო-

მლის განკარგულებაში ბარჯი იყო, სად, რა დროს, ან რანაირად დაიკარგა ზღვაში, არაინ არ იცის; სამი დანარჩენი მატროსი ამბობენ ტრიუმიდამ ზევით ამოვიდა და რანაირად დაიკარგა, არ ვიცითო.

ღღეს ნამდვილად ვიცით, რომ 19 კაცი გემიდან და 1 კაცი ბარჯიდან სულ 20 კაცი დაიღუპა და კიდევ თუ ვინმე იყო სხვა, ჯერ არ ვიცით. ხოლო საქონელი რამდენი, ანუ რა ფასის არის დაღუპული, ან ვისი, ისიც ჯერ არ არის მოყვანილი ცნობაში. ზღვის ნაპირზე საქონელი ცალკობით დასველებული და დაობრებული ჰყრია. დაღუპული ცეცხლის გემის ანძა მორჩანს ზღვაში. წარსული წლის დაღუპული გემი, რომელიც ეგდო 12 საყენზე წყალში, ეხლა დამტყრეული სრულიად ხმელეთზე ამოაგდო ზღვამ.

ლუკა მუთათელიძე

ზემო-იპერეთიდან, 27 ნოემბერს

ღღეს დილით შევხვდი ორს გლეხს, რომელთაც ზურგზე წამოკეიდათ სასაგდლო ხალხები, ჯოხი ილიაში გაერქოთ, ხელები უბეში ეწყოთ და ასე როგორღაც დაღონებული მოდიოდნენ.

მომიხლოდნენ თუ არა, გამოვესალმე და ვკითხე:

— ქაო, მოქირავეთ ხომ არ დადებით-მეთქი? გლეხებმა პიასუხეს:


— ლმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშლოთ. ჩემო პატრონო, საცოცხლე მოგცესთ ლმერთმა, ჩვეთვის ფული საჭირო იყოს, მაგრამ სადა გვეცალიან, შენი ჭირიმი.

— მაშ სად მიდიხართ და რამოხელე კაცები ხართ?

— ჩვენ ქვემო სოფლებში გაიხლებით, იქნება თითო ქოხის დასადგმელი ალაგები ეშოვიოთ და დავესახლოთ.

— აქამდის სად სცხოვრებდით, რომ ეხლა ეძებთ სამოსახლო ალაგებს-მეთქი ვკითხე.

— ჩვენ, ბატონო, ეხლაც მოსახლე გახლავართ და წერილის ცოლშვილის პატრონი, მაგრამ ჩვენი სოფელი ჯერეთ ძლიერ მცირე მოსავლის ალაგია და მერე იქამდის შეგვაიწროვა ჩვენმა ნაბატონებმა, რომ იძულებული ვართ, გადავესახლოთ იმის სანადირო ალაგადამ, და შიშველტიტეელი ხეს ქვეშ ვიცხოვროთ. მოველს კვირაში სოფლის მოხელები შინ გვიდგია და გვანდევინებენ, ვინ მოსთელის, რა და რა ნაირს გარდასახდებს. მერმეთ ან ნაბატონებს ვერ გაუძელით და ან მის მოურავს: თუ რამე გაეზარდეთ ოჯახში ორფეხი ანუ ოთხფეხი, სოფლის მოხელებს და ნაბატონრების მოურავს უნდებათ საქმელათ და ჩვენ წელიწადში ორჯელაც ვერ ველირსებით ხორცის გემოს. ჩვენმა ნაბატონრებმა რომ მიიღოს ჩვენგან მოსავლის ნაწილი, ხუთ-ხუთა მანეთის არაფერი ერგება წელიწადში, მაგრამ, გინდ ბევრი მოგივიდეს მოსავალი, გინდ ცოტა, თითო კომლზე ორმოც მა-



ნეთს მანც გარდაგახდევინებს წე-
ლიწადში. რაც უნდა ესთხოვოთ,
ჭირნახულს მანც არ მიიღებს, და
სად უნდა ვიშოვოთ, შენი ჭირიმე,
ყოველს წელს ორმოცი მანეთი ბა-
ტონისათვის, და ამოდენი კიდევ სხვა
და სხვა გარდასახადისათვის!

— მინ არის თქვენი ბატონი!
— შალი გახლავს, ბატონო!
— შარი გაუდგეს იმას წელშიო,
შესძახა ამხანაგმა.

— ძაღო! რისთვის სწყევლი? ბანა
კაცი რომ ყოფილიყოს, რა სიკეთეს
დაგვაყრიდა? მინდ ქვა მოხდომია
ქოთანს და გინდ ქოთანი ქვასო,
მანც ქოთანი გატყდებო! ისე გა-
ხლავს შენი ჭირიმე ჩვენი საქმეო.

სოტა ხანს შემდეგ, მე გამოვემ-
შვიდობე გლეხებს, ვასწავლე კარგი
სოფელი, სადაც უფრო იაფათ იყი-
დება ადგილები და კარგი მოსავა-
ლიც იცის და წაყიდნენ დაღონებუ-
ლები.

რომ შეეხედა კაცს ამ გლეხები-
სათვის, ქვის გულიც რომ ჰქონებოდა,
მანც შეუძლებელი იყო, ისინი არ
შებრალებოდა. ხმაც რომ არ ამოე-
ლოთ გლეხებს, იმათ სახეზე ამოიკი-
თხვდა კაცი: ეს კაცები დიდს გა-
ჭირებებაში უნდა იყვნენო.

არ შემოძლია აქვე საზოგადოთ
არა ესთქვა, რომ ზოგიერთი ჩვენე-
ბური მებატონე ძლიერ უპატიოს-
ნოთ ექცევა თავის დროებითი ვალ-
დებულს გლეხებს. ნაბატონების ყო-
ველს მოთხოვნილებას ერთი და
ორი ღარიბი და დაცემული გლეხი
ვერ დააკმაყოფილებს, თუ სხვანაი-
რათ არ სცდილობს თავისის შრომით
მოპოვოს მებატონემ ცხოვრების
გზა.

ბევრი იმერელი მებატონე სინი-
დისიანათ ექცევა თავის დროებით
ვალდებულს გლეხს; მაგრამ ზოგი-
ერთი ამისთანა მებატონის, მისი მო-
ურავის ანუ მმართველის მოქმედ-
ებით სინდისიანი მებატონეც უსინ-
დისოთ ილანდებოან.

ამაში მით უფრო უნდა დავრწ-
მუნდეთ, თუ წარმოვიდგენთ, რომ
იმერელი გლეხი თავის სამშობლო
სოფელს, ძმასა და ნათესავს და მისი
მამა-პაპის სასაფლაოს გაუჭირებლათ
არ დასტოვებს.

ღღეწე კიდევ ერთი სხვა გლეხი
შემხედა ჩვენს ბაზარში, რომელიც
ფულის სასესხებლათ დადიოდა. ად-
გილი ეყიდა, ნოტარიუსთან ნასყი-
დობის წერილის შესასრულებლათ
ათი მანეთი მეყოფოდა მეგონაო
200 მანეთის ერთ ნაქერ მიწაზეო,
მაგრამ ნოტარიუსმა 16 მანეთი
მთხოვა და ახლა რაც მაკლია დაე-
ძებო.

ამისთანა შემთხვევები ხშირია
ჩვენში; მე ვიცი მაგალითი, რომ
ნოტარიუსმა 2,000 მანეთის ვექსი-
ლის შესრულებაში აიღო 45 მანეთი,
და ერთს გლეხს 150 მანეთის საბუ-
თის შესრულებაში 40 მანეთი გარ-
დახდევინა. მაგრამ უმეტარ ხალხს
სხვა გზა არა აქვს, თუ არ მისცა.

ზემ.-იმერელი

რუსეთი

შარშან თებერვალში ერთი ძალიან
ძვირფასი ორთქლის წისქვილი დაი-
წვა პეტერბურღში, რომელიც ჰქო-
ნია აღებული რამოდენიმე წლით
იჯარით მდიდარის რუსის ვაჭარს
მესიანიკოვს.

გამოძიებამ ვეჭი აიღო უფალს
მესიანიკოვს და ამისგან კომერ-
ციის სოვეტიცი მესიანიკოვი იყო
დატუსაღებული. ამ საქმეზე ჰქონდა
ლაპარაკი ორ-სამთვეს მთელს საზო-
გადოებას და ლიტერატურა. შოვე-
ლი კაცი აცხადებდა თავის აზრს და
წინასწარმეტყველობდა ამ საქმეზე: ამ-
ბობდნენ, რომ ზოგიერთი კიდევაც
დანიშნავენებულან ამ საქმის გარდა-
წყვეტაზე.

მაგრამ ყველაზე უფრო ძნელ
გამოცანად მიჩნდათ, ის თუ რომ-
მელ ადვოკატს მიანდობს მესი-
ანიკოვი ვექილობას. იყვნენ ისეთი
პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ,
რომ პატიოსანი ადვოკატი მას არ
დაუდგება ვექილად, ასეთ საქმე-
კაცსო. მართის სიტყვით, ამ საქმის
დაწყებას ოლქის სასამართლოში ყვე-
ლა მოუთმენელად მოელოდა. ახლა,
როგორც ვეატყობინებენ გაზეთები,
ეს საქმე ოც და-ხუთს ნოემბერს ყო-
ფლა დანიშნული; მესიანიკოვის
ვექილად ყოფილან პოტეხინი, ია-
ზოკოვი პირველი და სოკოლოვი
ხოლო წინა-ღმდეგის მხრით მოკორე-
ვის (წისქვილის პატრონის) და სა-
ღვეველი საზოგადოების მხრით ყო-
ფილან დანიშნულნი ვექილები სპა-
როვიჩი და ბერარდი.

ხარკოვში ამ მოკლე ხანში მომ-
კვდარა ვეჭი ალექსი მიხაილოვის
ძე რუდაკოვი, ხარკოვის გალავა ორ-
მოც და ათში.

მას ხარკოვში დიდი პატივის ცემა
ჰქონდა საზოგადოებისაგან პატიოს-
ნების და მტკიცე ხასიათისათვის; თავ
დაუზოგადად ზრუნავდაო საზოგადო
საქმეებზე.

1854 წელსა ხარკოვის ღენერალ-
ლუბერნატორმა ძოკოშკინმა ქალა-
ქისათვის უსარგებლო შენობის გაკე-
თება მოინდობა და ამისათვის მოსთ-
ხოვა ქალაქის გალავას იმოდენი ფუ-
ლები, რამოდენის ნება ლუბერნა-
ტორს მინისტრის დაუმტკიცებლად
არ ჰქონდა. ლუბამ, რუდაკოვის წი-
ნადანდებით, უარი უთხრა ლუბერნა-
ტორს; ამის გამო რუდაკოვი იქნა
გამოცლილი თანამდებობისაგან და
მის ადგილზე დანიშნა სხვა. რუდა-
კოვმა მშინათვე მოუყარა თავი სა-
ზოგადოებას თავის სახლში და ურ-
ჩია არზის მიცემა უმალღეს სახელ-
ზე ლუბერნატორის უსამართლო მო-
ქმედებაზე.

მაგრამ ძოკოშკინმა რუდაკოვი
წარადგინა მენებელ კაცად მხარეში
და ამისათვის ის გავზავნეს ორის
წლის ვადით უფაში. მაგრამ აქაც
ის შრომობდა საზოგადოებისათვის
და მატკიცებდა თავის სიმართლეს

და მოქმედობის კანონიერებასა, ბო-
ლოს საქმე მოიგო და იქმნა გამართ-
ლებული.

უცხო ქვეყნები

გერცოგოვინა. გერცოგოვინის
საქმეებზედ ბევრი აღარა ისმის—რა;
ზამთარმა და საზოგადოთ ცუდმა
ამინდებმა სულ შეაჩერა ყოველ ნა-
ირი მოძრაობა. გერცოგოვინა, რო-
გორც სხვა სამხრეთი მხარეები, რო-
მელნიც სლავიანებისაგან არიან და-
კავებული, საზოგადოთ მთიანი ად-
გილია; ვაკე ადგილები, მარტო
მდინარის ხეობებს მოჰყვება თორემ
მთელი მხარე ყოველის კუთხით მა-
ღალი მთებით არის დაყოფილი;—
როცა ამ მთებზედ თოვლი მოდის,
მისვლა-მოსვლა ძრიელ ძნელდება და
მაშასადამე ვერც საომრათ მოძრაო-
ბა არის ადვილი ზამთრობით ამ
ადგილებში, ამითი უნდა აფხნათ,
რომ ასე მძიმეთ მიდის ომის
საქმეები გერცოგოვინაში. მხოლოდ
ეს ამბები მანც მოგვიდის, რომ,
რუფ-ფაშას 15,000 კაცი ჰყავს მო-
გროვებული ბ. ჩკოსთან და ფიქრობს,
რომ გაანთავისუფლოს აჯანყებულე-
ბის ამან ორი მაგარი ადგილი
გორანსკი და ნიკმიჩი; აჯან-
ყებულებს თავის მხრით, რეიდგან
ათი-ათას კაცამდინა ჰყავთ შეკრები-
ლი და უნდათ, რომ დაიკავონ
ქლევკის გასავალი; ეს ერთი-
და-ერთი გზა აქვთ თათრებს აჯან-
ყებული ქვეყნებისკენ და თუ ეს
ადგილი შეიკრა, სულ შემოზღვიდუ-
ლი დარჩება შეუვალი ადგილებით
გერცოგოვინა. მსმალოს მმართვე-
ლობა ჯარის მაგიერათ მორალურ
ძალასაც ხმარობს: გაზეთებმა მოგვი-
ტანეს უცხო ქვეყნებიდან ამბები,
რომ მსმალოს მმართველობა ბრძა-
ნების გამოცემას აპირობს, რომლის
ძალით მინისტრების და გუბერნა-
ტორების გამოცემა ისე ადვილათ
და ახირებულათ აღარ იქმნება მო-
მავალში როგორც აქამდის; ამითი
უნდათ იმ დაბეზღებისა და პირო-
ვნული მტერობისაგან განათავისუფ-
ლონ ეს მოხელე პირები, რომელნიც
ერცლათა სუფევდა ხვანთქრის სასა-
ხლეში.

2 ამ თვეს ტელიგრაფმა შეგვა-
ტყობია, რომ ხვანთქარმა გამოსცა
ირადეო, სადაც ერცლათ არის
მოსხენებული ყველა ის რეფორმები,
რომელსაც ის ჰპირდებოდა თავის
ქვეშევრდომებს. რაში მდგომარეობს
ეს რეფორმები, რა პირობით აძლევს
ხვანთქარი ამ რეფორმებს თავის
ხალხს, ჯერ არ მოგვესვლია; მაგრამ
რად უნდა იყოს, საქმე თითონ
რეფორმებში არ მდგომარეობს, რე-
ფორმების დაპირება ძლიერ ხშირად
იცის ხვანთქარმა, და არც სიერცე
და ლიბერალობა აკლია ხოლმე ამ
ირადეებს, მხოლოდ ასრულება არ
ელისება ხოლმე არასოდეს. მართის
მხრით ეხლანდელი რეფორმები უ-
ფრო საიმედო არიან.
რადგან ამ რეფორმების შემოდე-

ბაში იღებენ მონაწილეობას სხვა
სახელმწიფოები. ამბობენ, რომ სე-
სტრის პირველმა მინისტრმა [ხვანთქარმა]
რაშიმ კიდევ შეადგინა მსმალოს
რეფორმების პროექტი; ამ პროექტ-
ზე სხვა დიდი სახელმწიფოები: რუ-
სეთი, ბერმანია, თანახმა არიანო;
საზოგადოთ, როგორც ისმის ამ სამ
სახელმწიფოთ შუა სრული თანხმო-
ბა სუფევსო იმ საგანზედ თუ რო-
გორ უნდა მოიქცენ მსმალოს
შესახებ, ეხლანდელ მდგომარეობაში.

საშრანბეთი. საფრანგეთში ეხლა
მთელი ყურადღება სენატის ამორ-
ჩევაზედ არის მიქცეული. მთელი
სენატი 250 პირისაგან იქმნება შემ-
დგარი, ამ რიცხვიდან 75 პ. არჩევს
თითონ ნაციონალური კრება და
დანარჩენს თავის სამსახურით ან სხვა
უპირატესობის ძალით, ძნელდება აქვს
უფლება იყვნენ სენატორათ. მხლა
ნაციონალურ კრებაში ამ 75 სენა-
ტორის არჩევა არის და უნდა ესთ-
ქვათ სრულებით მოულოდნელათ
მიდის საქმე; ეხლანდელი კრების მდ-
გომარეობა იმ გეგარია, რომ თუ მარ-
ტო პარტიების რაოდენობა მივიღეთ
მხედველობაში, მაშინ რესპუბლიკე-
ლების გამარჯვება შეუძლებელია,
მაგრამ საქმე სულ სხვა ნაირათ
აჩვენებს: დღემდის 46 სენატორი არის
ამორჩეული და მათგან 38 რესპუბ-
ლიკელია და 8 ლეგიტიმისტი; არც
ერთი ორლენისტი არ არის ამორ-
ჩეული; როგორც ისმის ხმა, სხვა
პარტიებს პირობა შეუკრავთ, რომ
არც ერთი ორლენისტი არ ამოარ-
ჩიონ; ჯერ-ჯერობით ეს პირობის
ამბავი მართლდება. მნახოთ რა ამ-
ბავს მოგვიტანებენ პარიჟელი გაზე-
თები. ტელიგრაფები ბევრს ვერას
გვატყობინებენ ამ საგნზე და საინ-
ტერესო კი არის დაწერილებით გა-
ვიგოთ ყველა პარტიების პლანები
და გადაწყვეტილება ამ ამორჩევაზედ.
როგორც უკანასკნელმა ფოჩტამ
შეგვატყობია, ბექვლის კანონებზედ,
რომ კამისია იყო, იმასაც გადაწყვე-
ტილათ განუთავსდნენ თავის საგანი;
ლიუფორის პროექტი სულ დაუტო-
ვებიათ და მის მაგიერათ უნდა წა-
რუდგინონ ნ. ციონალურ კრებას,
რომ მოისპოს სამხედრო მდგომარე-
ობა ყველა დეპარტამენტშიდ
და განათავისუფლონ პროვინციის
დროგამომშვეებით გამოცემანი ად-
მინისტრაციის დამოკიდებულებისა-
გან. ძრების წინ მომხსენებლათ ამო-
ირჩიეს ალბერ გრევი; მასთან ისიც
გადასწყვიტეს, თუ ნაციონალურმა
კრება არ მიიღო კამისიის წინა-და-
დება, მაშინ დაადგებიან იმ გზაზედ,
რომელიც კამისიას ურჩიეს ჟოულ-ფა-
რმა და ბოსირმა. საკვირველი ბედი-
კი აქვს საფრანგეთში ამბეჭვდის კანო-
ნებს; ამ საუკუნეში ეს მეცხრეთა
სდგებამ ბექვლის კანონები და ჯერ
ვირავინ იტყვის, რომ ვინმე დაეკმა-
ყოფილებიოს ამ კანონებს. აი რა და
რა დროს იყო ხოლმე ამ კანონების
შედგენა: 1819, მეორე 1822, მესა-
მე 1827, მეოთხე 1830, მეხუთე
1835, მეექვსე 1848, მეშვიდე 1868,

